შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№48 (9.762)

17-24 დეკემბერი 2016 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

სილარიბის დასაძლევად

გვ.2

დედოფლისწყაროს 2017 წლის ადგილობრივი ბიჯეტის პროექტი

გვ.2-3

ორგ. კოდი	დასახელება	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა
		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	9 556,7	2 651,5	6 905,2	5 640,6
01 00	ნარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	2 332,0	25,5	2 306,5	1 767,0
01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	627,4	0,0	627,4	541,0
01 02	მუნიციპალიტეტის გამგეობა	1 641,6	25,5	1 616,1	1 166,0
01 03	სარეზერვო ფონდი	50,0	0,0	50,0	50,0
01 05	შესყიდვებთან (ტენდერი, აუქციონი და ა.შ.) დაკავშირებული ხარჯები	5,0	0,0	5,0	4,0
01 09	პრერადიკა	8,0	0,0	8,0	6,0
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	108,4	0,0	108,4	100,0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	3 544,2	2 221,9	1 322,3	835,0
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1 932,5	1 622,3	310,2	75,0
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	1 408,2	523,5	884,7	760,0
03 02 01	ბინათმშენებლობის ღონისძიებები	36,0	0,0	36,0	0,0
03 02 02	წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები	216,5	145,4	71,1	0,0
03 02 03	გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები	581,8	361,8	220,0	210,0
03 02 04	გარემოს დაცვითი ღონისძიებები	573,9	16,3	557,6	550,0
03 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	203,5	76,1	127,4	0,0
04 00	განათლება	1 657,8	315,8	1 342,0	1 300,0

სტიმულს ჩემი შვილი მაძლევს...

გვ.4

უკანონო ნადირობის ფაქტი დედოფლისწყაროში

გვ.7

19 დეკემბერს, 12 საათზე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში გაიმართება 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის საჯარო განხილვა. გთხოვთ, მობრძანდეთ!

ძალადობა ოჯახში, სტერეოტიპები და კანონი

გვ.5

რატომ აცხობენ ბარბარობის დღესასწაულზე ლობიანებს?

გვ.7

მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთი „შირაქი“ არ ღალატობს ტრადიციას და კვლავაც გთავაზობთ ფერად **საახალწლო კალენდარს.** თუ გსურთ, თქვენი ბავშვის ფოტო განთავსდეს 2017 წლის ფერად კალენდარში, გთხოვთ წარმოადგინეთ ის 27 დეკემბრის ჩათვლით რედაქციაში.

შეგახსენებთ, რომ კალენდარში ფოტოს განთავსება ფასიანია. 1 ფოტოსურათი 15 ლარი ეღირება. მაგრამ, თუ, ერთ ფოტოში ორი, ან მეტი ბავშვი იქნება - 20 ლარი.

იჩქარეთ, რაოდენობა შეზღუდულია!!!

„კახეთის საათი“

C M Y K

დედოფლისწყაროს 2017 წლის ადგილობრივი ბიჯეტის პროექტი

დასახელება	კოდი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა 2013 წლის პროგნოზი
		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
შემოსულობები		7 483,5	2 548,6	4 934,9	5 174,5
შემოსავლები	1	7 473,5	2 548,6	4 924,9	5 154,5
არაფინანსური აქტივების კლება	31	10,0	0,0	10,0	20,0
შემოსავლები	1	7 473,5	2 548,6	4 924,9	5 154,5
გადასახადები	11	1 904,1	0,0	1 904,1	2 940,0
საშემოსავლო გადასახადი		370,0		370,0	440,0
ქონების გადასახადი	113	1 534,1	0,0	1 534,1	2 500,0
საქართველოს საწარმო ქონებაზე (გარდა მიწისა)	113111	120,0		120,0	150,0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113112	0,0			
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113113	2,0	0,0	2,0	2,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113114	1 384,5	0,0	1 384,5	2 320,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113115	27,6	0,0	27,6	28,000
სხვა გადასახადები ქონებაზე	1136	0,0			
სხვა გადასახადები	116	0,0			
გრანტები	13	4 310,8	2 548,6	1 762,2	814,5
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	4 310,8	2 548,6	1 762,2	814,5
სხვა შემოსავლები	14	1 258,6	0,0	1 258,6	1 400,0
შემოსავლები საკუთრებიდან	141	1 109,2	0,0	1 109,2	1 296,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142	44,4	0,0	44,4	44,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	143	100,0		100,0	50,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	145	5,0		5,0	10,0
არაფინანსური აქტივების კლება	31	10,0	0,0	10,0	20,0

სიღარიბის დასაძლევად

14 დეკემბერს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი არასამთავრობო ორგანიზაციის „HEKS – EPEP“ - ის წარმომადგენლებს შეხვდა. სამუშაო შეხვედრა გაცნობითი ხასიათისა იყო, იგი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართა. ორგანიზაციის მიზანს მუნიციპალიტეტში სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის, ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, ადგილობრივი თვითმართველობა გვერდში დაუდგება ამ ორგანიზაციას და მხარს დაუჭერს მის წამოწყებებს. გამგებელი იმედოვნებს, რომ მათთან თანამშრომლობა იქნება ნაყოფიერი და სასარგებლო მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის.

დედოფლისწყაროს 2017 წლის ადგილობრივი ბიჯეტის პროექტი

ხარჯვითი ნაწილი

ორგ. კოდი	დასახელება	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა
		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	9 556,7	2 651,5	6 905,2	5 640,6
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	2 332,0	25,5	2 306,5	1 767,0
01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	627,4	0,0	627,4	541,0
01 02	მუნიციპალიტეტის გამგეობა	1 641,6	25,5	1 616,1	1 166,0
01 03	სარეზერვო ფონდი	50,0	0,0	50,0	50,0
01 05	შესყიდვებთან (ტენდერი, აუქციონი და ა.შ.) დაკავშირებული ხარჯები	5,0	0,0	5,0	4,0
01 09	ჰერალდიკა	8,0	0,0	8,0	6,0
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	108,4	0,0	108,4	100,0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	3 544,2	2 221,9	1 322,3	835,0
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1 932,5	1 622,3	310,2	75,0
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	1 408,2	523,5	884,7	760,0
03 02 01	ბინათმშენებლობის ღონისძიებები	36,0	0,0	36,0	0,0
03 02 02	წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები	216,5	145,4	71,1	0,0
03 02 03	გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები	581,8	361,8	220,0	210,0
03 02 04	გარემოს დაცვითი ღონისძიებები	573,9	16,3	557,6	550,0
03 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	203,5	76,1	127,4	0,0
04 00	განათლება	1 657,8	315,8	1 342,0	1 300,0
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	1 224,9	88,3	1 136,6	975,6
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	399,4	88,3	311,1	245,0
05 01 01	სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა	265,3	0,0	265,3	245,0
05 01 02	სპორტული დარბაზების/მოედნების შეძენა/ მშენებლობა	134,1	88,3	45,8	0,0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	721,5	0,0	721,5	636,6
05 02 01	კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა	621,5	0,0	621,5	566,6
05 02 02	კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	100,0	0,0	100,0	70,0
05 03	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	32,0	0,0	32,0	29,0
05 04	ტელერადიო-მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	72,0	0,0	72,0	65,0
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	689,4	0,0	689,4	663,0
06 01	ჯანდაცვის პროგრამები	96,4	0,0	96,4	90,0
06 02	სოციალური პროგრამები	593,0	0,0	593,0	573,0
06 02 02	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება	370,0	0,0	370,0	350,0
06 02 03	უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება	220,0	0,0	220,0	220,0
06 02 04	ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები	3,0	0,0	3,0	3,0

სტიმულს ჩემი შვილი მაძლევს...

ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ეთერში სოფელ ოზაანში მცხოვრები თამარ ყველაშვილის გამოსვლამ ჟიურის, დარბაზის და ტელემაყურებლის დიდი მოწონება გამოიწვია. ქალბატონი თამარის მიერ შესრულებულმა საოპერო არიამ, ყველა მოლოდინს გადააჭარბა. მან არა მარტო ქვეყნის პირველი ლედი, არამედ დარბაზში და ტელევიზორთან მჯდომი ადამიანებიც აატირა და ფეხზე წამოაყენა. ამ ქალბატონს ახლა უკვე მთელი საქართველო იცნობს. ის უყვართ და პატივს სცემენ. მან დაამტკიცა, რომ ადამიანის შესაძლებლობები იმდენადაა დიდი, რამდენადაც დიდი რწმენა გააჩნია მას. თამარ ყველაშვილი ფართოდ მოაზროვნე ქალბატონია, მან დაამტკიცა, რომ თუ ადამიანი ნიჭიერი და მშრომელია, მისთვის არ არსებობს საზღვრები. როგორ ცხოვრობს და რა იდეებით საზრდოობს ორი წლის წინ დედაქალაქიდან შვილის ჯანმრთელობის გამო სოფელ ოზაანში საცხოვრებლად გადმოსული თამარ ყველაშვილი, ეს სრულიად დედოფლისწყაროს მოსახლეობის ინტერესის სფეროც გახდა. მკითხველის მაღალი მოთხოვნის შესაბამისად „შირაქი“ თამარ ყველაშვილს ეწვია.

-თამარ, უპირველესად მინდა მოგილოცოთ ნიჭიერში წარმატებული გამოსვლა და ასეთივე წარმატება მინდა გისურვოთ მომავალ ტურებში.... მოგვიყევით, სად დაიბადეთ და გაიზარდეთ, ვინ იყვნენ თქვენი მშობლები, როგორი ბავშვობა გქონდათ?

-დავიბადე და გავიზარდე ქალაქ თბილისში ერთ ჩვეულებრივ თბილისურ ოჯახში. დედა -ინგლისური ენის პედაგოგია და მისი წყალობით ინგლისური ენა მშობლიურივით ვიცი, რაც დღემდე ძალიან მეხმარება. ბავშვობა მქონდა ყველაზე უდარდელი, მშვიდი და არასდროს არ მიგრძვნია ოჯახური პრობლემები.

- თუ გაიხსენებთ რაიმე მონაკვეთს ბავშვობიდან, რომელიც მომავალში თქვენს თვისებებს უსვამს ხაზს?

-ძალიან პატარა ვიყავი, როცა დედამ შემამჩნია, რომ შემეძლო სიმღერა. მიმიყვანა სტუდიაში, მაგრამ დამიწუნეს და გვითხრეს, რომ სმენა არ მქონდა. ადრეული ბავშვობიდან დავდიოდი ტაძარში და შემდეგ სრულიად შემთხვევით მოვხვდი მგალობელთა გუნდში. მათ სჭირდებოდათ ბანი, რომელსაც ვერ პოულობდნენ და ამის მერე რამდენიმე წელი ვგალობდი თბილისის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში. დავამთავრე მუსიკალური შვიდწლედი. მე-3-4 კლასის მოსწავლე ვიყავი, როდესაც ვუკრავდი შოპენის და რახმანინოვის ურთულეს ეტიუდებს. საფორტეპიანო კონცერტებს და ვენის კლასიკოსების სონეტებს, მაგრამ სამწუხაროდ სწავლის გაგრძელება ვერ შევძელი იმ პერიოდში ოჯახური პირობების გამო. 9 წლის ვიყავი, როცა მამას მოუწია სამსახურის გამო მოსკოვში წასვლა და მაშინ დავწერე პირველი სიმღერა. ამის მერე მუსიკა დავუწერე რამდენიმე სადიპლომო ფილმს და დადგმას.

- თქვენმა ოჯახურმა მდგომარეობამ, ბევრი ადამიანის ინტერესი გამოიწვია, ყველას აინტერესებს გულწრფელად ქმარმა მართლა მიგატოვათ შვილის ავადმყოფობის გამო, თუ ისევ მასთან ცხოვრობთ, რამდენად მაღალია მისი პასუხისმგებლობა შვილებისადმი?

-მყავს ორი შვილი, 10 წლის ნინო და 3 წლის და 6 თვის დავითი. დავითი მძიმე დაავადებით დაიბადა. მეუღლე სამუშაოდ წავიდა, როდესაც 4 თვის ორსული ვიყავი და როცა ბავშვის ეს მდგომარეობა გაიგო, პასუხისმგებლობა ვერ ან არ აიღო თავის თავზე. 5 თვემდე თითქმის საავადმყოფოში ვცხოვრობდით და როდესაც საშიშროება აღარ იყო, გამოგვწერეს იმ პასუხით, რომ ეს იყო მაქსიმუმი, რაც შეძლეს. მამა გამოჩნდა მაშინ, როდესაც დათუნა 1წლის და 8 თვის იყო. მაშინ ბავშვის გამო კიდევ მივეცი ერთი შანსი, მაგრამ უშედეგოდ.

-საინტერესოა, რით ცხოვრობთ და საზრდოობთ ეკონომიურად?

-წლების წინ დავიწყე კომპიუტერული პროგრამების ჩემით შესწავლა. საოფისე პროგრამებით დავიწყე და შემდეგ ელექტრონული დიზაინით დავინტერესდი. ჩემით შევისწავლე ათობით დიზაინის წამყვანი პროგრამები. შემდეგ ვიდეო მონტაჟი დამჭირდა და რამდენიმე თვეში ვიდეო მონტაჟის და რედაქტირების მრავალი პროგრამა შევისწავლე. თბილისში 2008 წლიდან გავხსენი ჩემი კომპიუტერული მომსახურების სერვისი „გეორგია სერვისი“ და ვახდენდი ჩემი ცოდნის რეალიზებას. შემდეგ დავიმატე სასწავლო ცენტრი და ვასწავლიდი საოფისე, გრაფიკულ და დიზაინის პროგრამებს. ჩემთან მოდიოდნენ გადამზადებაზე სხვადასხვა ორგანიზაციებიდან გამოგზავნილი კადრები. ინგლისური ენის კარგად ცოდნის წყალობით ვმუშაობდი ზეპირ თარჯიმნად. ეს იყო ჩემი შემოსავლის წყარო და არასდროს არ ვუჩიოდი ბედს. დათუნას დაბადების შემდეგ დავკეტე ოფისი და სახლში დავჯექი. რამდენიმე ორგანიზაცია დადიოდა სახლში მომსახურების მისაღებად, ძირითადად სათარგმნ მასალებზე და სატენდერო დოკუმენტაციებზე ვმუშაობდი. დათუნას მდგომარეობიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა მომეძებნა ადგილი, სადაც მეტი ჟანგბადი და ეკოლოგიურად სუფთა გარემო იქნებოდა. ინტერნეტში ვიპოვე, ოზაანში იყიდებოდა სახლი და საცხოვრებლად სამივე აქ გადმოვედით. ოზაანში დავიწყე ახალი ცხოვრება. ვამზადებ ბავშებს კომპიუტერულ პროგრამებში და ონლაინ ვემსახურები რამდენიმე ორგანიზაციას, მაგრამ ეს სამწუხაროდ ძალიან მიზერულია დათუნას მკურნალობისთვის.

- თქვენი აზრით, რა შემთხვევაში ხდება ქალი ძლიერი, რა აძლევს მას ამის სტიმულს?

-ჩემს შემთხვევაში, ძლიერი გავხდი მაშინ, როდესაც მარტო შევეჩეხე უდიდეს პრობლემებს. მარტო ცხოვრებამ მასწავლა, როგორ უნდა ვიბრძლო გადარჩენისთვის და თითოეული დღისთვის. ასე მგონია, ჩემი შვილებისთვის შეუძლებელს შევძლებ. შვილები მაძლევენ იმის სტიმულს, რომ დავძლიო ყველა პრობლემა და განსაკუთრებით სოფელში ცხოვრებამ მასწავლა რომ არა მარტო გონებრივი, არამედ ფიზიკური შრომით როგორ მივაღწიო მიზანს.

-ეს თემა, სოფელი ოზაანი და აქ თქვენი შვილებით ჩასახლება საკმაოდ ამაღელვებელია, თქვენს მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი გმირობის ტოლფასია, როგორ შეგხვდათ ხალხი , როგორია თქვენი ცხოვრება...

-ოზაანში ჩემი გადმოსახლება ისევ დათუნას ჯანმრთელობას უკავშირდება. როცა გავიგე, რომ ეს აუცილებელი იყო დათუნასთვის, ერთი წამით არ დავფიქრებულვარ, გადმოვსულიყავი თუ არა. ინტერნეტში ვნახე, ოზაანში ძალიან მიზერულ ფასად იყიდებოდა სახლი. თავიდან დიდი ხანი ვიცხოვრე მძიმე პირობებში. არ გვქონდა წყალი, შუქი, გაზი, რადგან ეს სახლი იყო მრავალი წლის მიტოვებული. ეზო ტყეს ჰგავდა. ეტაპობრივად გავასუფთავე ეზო და სახლის პატარა ნაწილი და შევიქმენი ცხოვრების ელემენტალური პირობები. ეზოში დავრგე უამრავი ხეხილის ნერგი. შევიძინე პატარა წიწილები და დიდი რუდუნებით ვუვლი. თავიდან არაფერი ვიცოდი, რა როგორ უნდა გამეკეთებინა, მაგრამ ამაში ძალიან დამეხმარნენ ჩემი ოზაანელი მეზობლები. უფროსი შვილი ნინი, ოზაანის საჯარო სკოლაში მივიყვანე და ძალიან კმაყოფილი ვარ აქაური პედაგოგებით.

ჩვენი ყოველი დღე ერთმანეთს ჰგავს. საოჯახო საქმე, ეზო, ქათმები და ბავშვებზე ზრუნვა. განსაკუთრებული მოვლა ესაჭიროება დათუნას, რადგან მას არ შეუძლია დამოუკიდებლად ჯდომა, ვერ დადის და ჯერ ვერ ლაპარაკობს. წამლებთან ერთად ვუკეთებ ფიზიკურ ვარჯიშებს, ვასმენინებ მოცარტის ნაწარმოებებს და ყოველდღე ვუმღერი საოპერო არიებს, როგორც ერთგვარი თერაპია.

თავიდან ვერავინ ვერ იგებდა და ძალიან უკვირდათ ქალაქიდან ჩემი გადმოსვლის ამბავი. მეუბნებოდნენ, რომ ჩვენ ქალაქში გავრბივართ და შენ რამ ჩამოგიყვანა სოფლადო? ზოგადად, ყველა მიყვარს და მაქსიმალურად გავცემ სიყვარულს და სითბოს, აქედან გამომდინარე, ძალიან შევიყვარე აქაურობა და ხალხისგანაც იგივეს ვგრძნობ. რაც ყველაზე თვალშისაცემია, აქ ძალიან თბილი და გულიანი ხალხი ცხოვრობს და თავს ისე ვგრძნობ, თითქოს აქ დავიბადე და გავიზარდე. ოზაანი იმდენად მიყვარს, რომ მგონი თავად ოზაანელებს არ უყვართ აქაურობა ასე ძალიან (იღიმის).

- მოგვიყევით დათუნაზე, როგორია მისი ახლანდელი ჯანმრთელობის მდგომარეობა?

-დათუნა დაიბადა ეპილეფსიის ურთულესი ფორმით, ვესტის სინდრომით. ამ დაავადების მქონდე ბავშვების მკურნალობა ძალიან ხანგრძლივი და რთული პროცესია. დიდხანს გაგრძელდა დიაგნოზის დასმის პროცესი. თავიდან მეუბნებოდნენ, რომ 8 თვემდე, მაქსიმუმ ერთ წლამდე იცოცხლებსო. დათუნას წლამდე არ ჰქონდა მხედველობა, სმენა და თითქმის არ მოძრაობდა. დღეში 150-200-მდე ემართებოდა ძლიერი გულყრები, გავყიდე ყველაფერი, რისი გაყიდვაც შეიძლებოდა, ჩავუტარე ძალიან ძვირადღირებული მკურნალობის კურსი და ამ მდგომარეობიდან თითქმის გამოვიყვანე. გულყრები დასრულდა, მაგრამ მისი განვითარება შეჩერდა. ეხლა დათუნა 3 წლის და 6 თვისაა, ვერ ჯდება, ვერ დგება ფეხზე და ვერ ლაპარაკობს. მიუხედავად ამ ყველაფრისა, არასოდეს არ დამიკარგავს მისი გამოჯანმრთელების იმედი.

- როგორ შეისწავლეთ საოპერო ხელოვნება, ეს ნიჭი გენეტიკურია თუ...

-იმის მიუხედავად, რომ ექიმები არანაირ იმედს არ მაძლევენ, რომ დათუნა გამოჯანმრთელდება, მაინც არ დავკარგე იმედი, რომ ერთ დღეს იგი სრულყოფილი ბავშვი იქნება. დავიწყე ძიება, ვეძებდი ყველგან ყველაფერს, რაც ამ დაავადებას შეეხებოდა. გავწევრიანდი მსოფლიო ეპილეფსიის ცენტრში. ონლაინ კონსულტაციებს გავდიოდი მსოფლიოს უძლიერეს ეპილეპტოლოგებთან, ვუგზავნიდი დათუნას გამოკვლევის შედეგებს, რომ მომესმინა თუნდაც ერთი მანუგეშებელი სიტყვა. ვესაუბრებოდი დედებს, რომელთა შვილებსაც ჰქონდათ ანალოგიური პრობლემა. დღემდე ვუზიარებთ ერთმანეთს ჩვენი შვილების წინსვლებს. სწორედ ამ ძიების დროს აღმოვაჩინე სტატია „მოცარტის თერაპიის“ შესახებ. მაშინ დათუნა ექვს თვემდე იყო, არ ესმოდა და ვერ ხედავდა. თავიდან ვასმენინებდი. შემდეგ გავზადე რეპერტუარი და საოპერო არიებზე გადავედით. ავტომატურად მამახსოვრდებოდა ყველა არიის მელოდია და შემდეგ გავკადნიერდი და ჩემი ნამღერი მოვასმენინე. თავიდან ვუმღეროდი მწარე ცრემლებით, მაგრამ შინაგანად ძალიან დავიჯერე, რომ ეს უშველიდა. დაახლოებით ერთი წლის იქნებოდა დათუნა, როდესაც პირველი შედეგი დავინახე. დათუნას მხედველობა აღუდგა და ჩანაწერის მოსმენილზე მეტად, ჩემს სიმღერაზე ჰქონდა აქტიური რეაქციები. მართალი გითხრათ, ისიც არ ვიცოდი, ამას კარგად ვაკეთებდი, თუ არა, მთავარი იყო ის, რომ ბავშვს მოსწონდა. მანამდე არასდროს არ მიმღერია არია და არც ვიცოდი, ეს შემეძლო თუ არა. არც ოჯახში არ ჰქონია არავის მუსიკასთან შეხება, რომ ეს შეემჩნიათ ჩემში. როდესაც პროექტის კასტინგები გამოცხადდა, დიდხანს ვფიქრობდი, გამომეყენებინა ეს შანსი თუ არა. მეშინოდა, ხალხს არ დაეცინა, მაგრამ მაინც ვცადე, რადგან ეს ჩემი შვილის გადასარჩენად ბოლო შანსი იყო და, ღმერთს მადლობა, რომ იმ დღეს მე წავედი გურჯაანის კასტინგზე.

-ცნობილი გახდა ჩემთვის, რომ ის ლურჯი, ლამაზი კაბა, რომლითაც „ნიჭიერის“ სცენაზე წარსდექით, სოფლის მკერავს შეაკერინეთ.

-ზოგადად, ჩემი გარდერობი არ გამოირჩევა დიდი მრავალფეროვნებით და აუცილებელი გახდა შემეძინა ან შემეკერა კაბა, რომელიც ჩემი გადაწყვეტილებით, უნდა ყოფილიყო სადა. ჩვენს სოფელში აღმოვაჩინე არაჩვეულებრივი მკერავი ქ-ნი მზია, რომელსაც, როგორც თავადაც მოგეხსენებათ, სულ ახლახანს დენით ახალგაზრდა შვილი გარდაეცვალა. ის ჯერ ისევ შვილის დაკარგვით გამოწვეულ მძიმე ტკივილებს უმკლავდება, იმ დიდი უბედურების შემდეგ ამ საქმისთვის ხელი არ მოუკიდია, მაგრამ მე უარი ვეღარ მითხრა. მე ვიყავი პირველი, ვინც მიაბრუნა ამ საქმისკენ და ძალიან მიხარია, რომ ეს კარგი საქმეც გავაკეთე. ძალიან სწრაფად შემიკერა კაბა და მადლობელი ვარ მისი.

-რას აპირებთ სამომავლოდ, რა გეგმები გაქვთ დათუნას გამოჯანმრთელების კუთხით.

-ძალიან ბევრი ძიების შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ამ დაავადების მქონდე ბავშვები თუ დროულად დაიწყებენ მკურნალობას, სრულად გამოჯანმრთელდებიან. ოპერაციული ჩარევა მხოლოდ დაგვიანების შემდეგ ხდება საჭირო. ამ მხრივ ჩვენ გაგვიმართლა, რადგან მას ესაჭიროება მხოლოდ ხელმეორე გამოკვლევა და შემდეგ ძალიან ძვირადღირებული, რამდენიმეწლიანი მედიკამენტური მკურნალობა, რის შემდეგაც დათუნა სრულიად გამოჯანმრთელდება. სწორედ ესაა ჩემი პროექტში მისვლის მიზანი.

- რა გაქვთ სამომავლო პერსპექტივაში თქვენი ნიჭის განსავითარებლად დაგეგმილი, აპირებთ თუ არა, რომ გაჰყვეთ ამ გზას?

-პროექტში მისვლის მიზანი მხოლოდ დათუნა იყო და არის. ვემზადები, რომ წარმატებულად გადავლახო ნახევარფინალი და მოვხვდე ფინალში, გავამართლო იმ ღვთისნიერი ხალხის იმედები, რომლებმაც მომცეს შანსი, მონაწილეობა მიმეღო ამ პროექტში. ამჟამად მაქვს ძალიან ბევრი შემოთავაზება, რომ გავაგრძელო ეს საქმიანობა. ჯერ არ ვიცი, რას გავაკეთებ მომავალში, მაგრამ, თუ ეს ჩემს შვილებს დაეხმარება, აუცილებლად ვიმღერებ.

- რა გიჭირთ ყველაზე მეტად, რა გესაჭიროებათ, რით შეიძლება დაგეხმაროთ თქვენ ადგილობრივი თვითმმართველობა?

-ჩემი ყველაზე დიდი გასაჭირი დათუნაა და იმედი გამიჩნდა, რომ ჩემი „ნიჭიერში“ მონაწილეობით დავეხმარები ჩემს პატარას, რათა თავისი თანატოლებივით ბედნიერად გააგრძელოს ცხოვრება. ამასთან ერთად, აუცილებლად ვასახელებ ჩემს სოფელს და რაიონს და იმედია, დავიმსახურებ ხალხის დიდ სიყვარულს.

- დიდი მადლობა ამ ინტერვიუსთვის, სრულ გამოჯანმრთელებას ვუსურვებ თქვენს დათუნას, წარმატებებს გისურვებთ.

ლალი მეხრიშვილი

ძალადობა ოჯახში, სტერეოტიპები და კანონი

ქალთა მიმართ ძალადობა გლობალური პრობლემაა, რაც ეწინააღმდეგება კანონის მიერ ადამიანისთვის მინიჭებულ უფლებებს, ზღუდავს ქალთა ჩართულობას სოციალურ ცხოვრებაში, წარმოქმნის გენდერზე დაფუძნებულ შეზღუდვებს, კერძო-საჯარო დიქოტომიას, სადაც კერძო (ოჯახი) სფერო მოიაზრება ქალის მოღვაწეობის არეალად ("ქალი ვიცი მე კუხნაში"), საჯარო სფერო (სოციალური სარბიელი, სამსახური) კი- მამაკაცის „სამეფოდ." საზოგადოებაში ჩამოყალიბებული გენდერული სტერეოტიპების თანახმად, ქალები მოიაზრებიან მშვიდ, ნაზ, შემწყნარებელ და დამთმობ არსებებად, ვისგანაც საზოგადოება და ოჯახი მუდმივად მოელის ალტრუისტულ ქცევას, მამაკაცის სასურველ თვისებებად კი მოიაზრება შედეგზე ორიენტაცია... იგი არის მებრძოლი, მტკიცე, ადამიანი, რომელიც მუდმივად კონკურენტუნარიან და ანგარიშგასაწევ ძალად ითვლება. თვითონ ამ დიქოტომიების ჩამოყალიბება უკვე არის ქალთა უფლებების შეზღუდვა, რადგან ამით საზოგადოება აწესებს ერთგვარ ჩარჩოებს, რასაც უნდა მოერგოს ქალიც და მამაკაციც, ტრადიციული ხედვიდან გადახრა კი საზოგადოების მხრიდან არცთუ ისე შემწყნარებლურად აღიქმება. შეიძლება გაჩნდეს კითხვა, თუ მამაკაცებისთვისაცაა დაწესებული გენდერული როლების ჩარჩოები, რატომ ვამახვილებთ ყურადღებას მაინც და მაინც ქალების პრობლემებზე?! აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ქალები არ არიან ჩაგრულთა როლში, ხშირად ბავშვებიც ასეთ დღეში არიან, უბრალოდ ქალები ძალიან ხშირად არიან მსხვერპლნი, მით უმეტეს საზოგადოებაში არსებული სტრუქტურული გენდერული უთანასწორობიდან გამომდინარე! მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ დღესდღეობით საზოგადოებათა უმეტესობა პატრიარქალურია, მათ შორის საქართველოც, ჩვენნაირ საზოგადოებებში კი ყოველთვის მოქმედებს "ორმაგი მორალი" ანუ ქალს უფრო მეტად და მკაცრად მოეკითხება, ვიდრე კაცს. სწორედ ამიტომ არის სექსიზმის (სქესის საფუძველზე განხორციელებული დისკრიმინაცია) მსხვერპლთა უმეტესობა ქალი.

ამ თემებზე ჩატარდა ორდღიანი სემინარი თელავში მედია ორგანიზაციებისთვის, რომლის ორგანიზატორიც იყო საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი. მომხსენებლები იყვნენ მედიაექსპერტი ზვიად ქორიძე და ანა ლობჟანიძე- სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი. ტრენინგზე უშუალოდ ქალთა მიმართ ძალადობის, კონკრეტულად კი, მათ მიმართ ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე ისაუბრეს, მიმოიხილეს სტატისტიკა და აღნიშნეს, რომ ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც არ მიდიან ძალადობის მსხვერპლი ქალები მოძალადისგან, ესაა ინფორმაციის ვაკუუმი. ჩვენც მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ კანონმდებლობაზე და იმ სტიგმაზე, რაც ჩვენს საზოგადოებაში ჯერ ისევ არსებობს. სამწუხაროდ, ამ სტერეოტიპების წინააღმდეგ ვერგალაშქრების შედეგია ბოლო წლებში უამრავი მოკლული ქალი...

გასაჯაროვების პრობლემა ,ძირითადად, ოჯახის კულტთანაა დაკავშირებული, აზრი იმის შესახებ, რომ ოჯახი არის „შეკრული, " სოციალური ინსტიტუტი, სადაც დიდი როლი აქვს ნდობას და ჰარმონიულობას ოჯახის წევრებს შორის, ქმნის იმის საფუძველს, რომ ის, რაც დაკავშირებულია ოჯახურ კონფლიქტებთან და თუნდაც ოჯახში ძალადობასთან, ითვლება „შიდა" სფეროდ, ანუ, ე.წ. „ოჯახის საქმედ", რაშიც ჩარევა მიუღებელია. შესაბამისად, ძალადობის მსხვერპლნი ერიდებიან ძალადობაზე საუბარს, მოძალადის მხრიდან უფრო მეტი ძალადობის თავიდან არიდების მიზნით, ან იმიტომ, რომ სჯერათ, ოჯახის პრობლემები ოჯახშივე უნდა მოგვარდეს და სკეპტიკურად უყურებენ სპეციალური სოციალური სამსახურების როლს.

კანონი ძალადობის აღკვეთის შესახებ

საქართველოში ოჯახში ძალადობის განხილვისას აუცილებელია ხაზი გავუსვათ იმ ნორმატიულ ცვლილებებს, რაც საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ამ საკითხთან დაკავშირებით. 2006 წელს საქართველოში მიიღეს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, სადაც ძალადობა განმარტებულია, როგორც „ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით." კანონში წარმოდგენილია ძალადობის პრევენციის ხერხები, რაც აღიარებულ სტრატეგიებად ითვლება ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად. ის გულისხმობს თავდაპირველად ოჯახში ძალადობის ფაქტების მიზეზების შესწავლას, ეფექტური სამართლებრივი მეთოდების დანერგვას ძალადობის გამოსავლენად და აღსაკვეთად, შესაბამისი სტატისტიკის წარმოებას, პრევენციული ღონისძიებების გატარებას იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც მიეკუთვნებიან ოჯახში ძალადობის ჩადენის რისკ-ჯგუფებს, ან უკვე აქვთ მსგავსი ძალადობა ჩადენილი; მსხვერპლთა და დანარჩენი საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება მათი უფლებების შესახებ. მსხვერპლთა ფსიქოლოგიური და სამედიცინო დახმარება და მოძალადეთათვის სარეაბილიტაციო კურსი კოგნიტურად, ემოციურად გამოჯანმრთელებისთვის. **კანონის მიზანია სამართლიანი და თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნა ოჯახში, ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლთა დახმარების და მოძალადეთა წინააღმდეგ შესაბამისი სანქციების გატარების უზრუნველყოფა.**

კანონმდებლობაში ქალთა მიმართ სქესობრივი დისკრიმინაციის აღსაკვეთად მიღებული კიდევ ერთი კანონი გენდერულ თანასწორობას ეხება. იგი 2010 წლის 26 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო და ძირითად მიზნად დაასახელა საკანონმდებლო დონეზე სქესის ნიშნით ადამიანთა თანასწორობის პრინციპის განმტკიცება და გენდერული თანასწორობის მისაღწევად შესაბამისი საკანონმდებლო გარანტიების შექმნა. კანონი აღიარებს ადამიანთა თანასწორობას

სოციალური და საზოგადებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, მაგალითად, შრომითი ურთიერთოებები, განათლებისა და მეცნიერების სფერო, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სფერო, საოჯახო ურთიერთობები, საინფორმაციო რესურსებით სარგებლობა, საარჩევნო უფლებების რეალიზაცია და ა.შ. კანონის მიხედვით, ქალი და მამაკაცი თანასწორია საოჯახო ურთიერთობებში, კერძოდ, ცალსახად აღიარებულია ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებები ქორწინებისა და განქორწინების, გვარის, პროფესიისა და საქმიანობის არჩევის, ქონების ფლობის, შეძენის, განკაგვის დროს; ასევე, თანაბრად უნდა განაწილდეს ოჯახში გაწეული შრომა თუ შვილების აღზრდის პასუხისმგებლობა.

როგორც ვხედავთ, კანონმდებლობაში საკმარისი საფუძველია იმისთვის, რომ სქესის ნიშნით დისკრიმინაციის დონე სავალალო არ იყოს საქართველოში, მაგრამ ფაქტები საპირისპიროს გვამცნობენ.

ოჯახში ძალადობის პრობლემა მეტად რთული და სპეციფიკურია, სწორედ ამიტომაც ზუსტი სტატისტიკის მოპოვება ნებისმიერ ქვეყანაში ჭირს. მიუხედავად ამ სირთულისა, ნორვეგიის მთავრობისა და გაეროს მოსახლეობის ფონდის ერთობლივი ძალისხმევით 2010 წელს საქართველოში ჩატარდა რეპრეზენტატული კვლევა, რომელიც „ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის ეროვნული კვლევის" სახელითაა ცნობილი. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 2385 ქალმა ეროვნული მასშტაბით, ასაკობრივი ჯგუფი იყო 15-49წ. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში, როგორც აღვნიშნე, ოჯახი საკმაოდ ძლიერი სოციალური ინსტიტუტია და იგი ერთ-ერთ უსაფრთხო ადგილად ითვლება, სადაც, წესით, სიმშვიდე და ჰარმონიულობა უნდა სუფევდეს, ფაქტების საფუძველზე, არსებობს დიდი განსვლა წარმოსახულ და არსებულ რეალობას შორის. ოჯახი არ არის ყოველთვის „ჰარმონიულობის ბუდე" და არც ოჯახის წევრები არიან ერთმანეთის მიმართ მუდამ კეთილგანწყობილნი. კვლევის შედეგები ასეთია:

1. ქორწინებაში მყოფ ქალთა 9, 1% (ყოველი მე-11 ქალი) აღიარებს, რომ გამხდარა მეუღლის/პარტნიორის მიერ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი.

2.ქალთა 14% აღიარებს, რომ გამხდარა ემოციური ძალადობის მსხვერპლი.

3. ქალთა 35% აღნიშნავს, რომ მეუღლის/პარტნიორის მხრიდან გამოუცდია ძალადობის სხვადასხვა ფორმები ქცევის კონტროლის მიზნით, აქედან, ქალთა 29%-ს არ აქვს უფლება ურთიერთობა ჰქონდეს საკუთარ ოჯახთან, ქალთა 11, 6%-ს სჭირდება ქმრის ნებართვა ექიმთან წასასვლელად.

4. იმ ქალთა 2, 7%-ს, რომლებიც ოდესმე ყოფილან ფეხმძიმედ, გამოუცდიათ ფიზიკური ძალადობა ორსულობის პერიოდში.რესპონდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ პირი, რომელიც ასეთ ძალადობას სჩადის, მათი შვილის მამაა.

5. ქალთა 50% ფიქრობს, რომ ცოლი ქმარს უნდა უჯერებდეს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ ეთანხმება.

6. ქალთა 34, 1% კი ქმრის მიერ ცოლის ცემას გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებად მიიჩნევს.

საინტერესოა, რა იწვევს გენდერული სტერეოტიპების სიმყარეს, რაც თავისთავად ოჯახში ძალადობის დეტერმინანტად ითვლება. პირველ რიგში, ეს არის ქალების შიში იმის თაობაზე, რომ, თუ არ დაემორჩილებიან მეუღლეს, მარტო დარჩებიან, ეკონომიკური და სოციალური მხარდაჭერის გარეშე. რწმენა იმის შესახებ, რომ ყველაფერი ისე უნდა იყოს, როგორც არის და ქმარი თუ ზოგჯერ გცემს, ჯობს აიტანო. ("მარტო ქალის ცხოვრება იმდენად საშინელებაა, რომ თუ ქმარი ძალიან არ გირტყამს, სჯობს, ისევ შენ გაუგო შენს ქმარს და ოჯახი გქონდეს...") ყველაფერ ამასთან ერთად, უნდა აღვნიშნოთ, რომ ტრადიციებისა და სოციალური ნორმებისადმი უსიტყვო მორჩილება და, შესაბამისად, ოჯახში ძალადობასთან მდუმარედ შემგუებლობა საშუალო და უფროსი ასაკის ქალებისთვისაა დამახასიათებელი, ხოლო, ახალგაზრდები ნაკლებად აკლენენ კონფორმიზმს ძალადობის მიმართ. ზემოთხსენებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ასაკზე მეტად ძალადობის აღქმაში სოფელი-ქალაქი-ს ფენომენი თამაშობს დიდ როლს.

დადასტურდა, რომ სოფლად უფრო მეტი ძალადობის ფაქტი ფიქსირდება და დათმენის კოეფიციენტიც უფრო მაღალია ქალაქთან შედარებით.

ქალები საქართველოში, ტრადიციებისა და რელიგიური შეხედულებების გამო ერიდებიან ოჯახში მომხდარი თუნდაც ძალადობის ფაქტების გახმაურებას, ამიტომ უმეტესად ისინი ითმენენ ძალადობას. იმის გამო, რომ საქართველოში განქორწინება „ცუდი ტონია", ქალებს უწევთ ოჯახში არსებული ძალადობის ატანა. იმის გამო, რომ ოჯახი „დახურული" სოციალური ინსტიტუტია ჩვენთან, ქალებს არ აქვთ არც მშობლების, არც ნაცნობების და არც მეზობლების ჩხუბში ჩარევის და მათი დაცვის იმედი, შესაბამისად, ისინი ცდილობენ საკუთარი ძალებით გაუმკლავდნენ ძალადობას. ("ქართველი ქალების მინუსი ის არის, რომ თუ რაღაც უგედურება არ მოხდა, ასეთ ამბავს სააშკარაოზე არ გამოიტანენ. პატრულს იმ შემთხვევაში გამოიძახებენ, ქმარი რომ უკვე დანით დასდევს. დაფარულია ეს თემა ისევე, როგორც სექსუალური პრობლემების დროს, რომელზე საუბარს და ექიმთან მისვლასაც ერიდებიან. პერიფერიებსა და რეგიონებში ეს განსაკუთრებით ასეა. თუ მეზობელმა არ გაიგო, რომ ცოლ-ქმარი ხოცავს ერთმანეთს და პატრულს არ გამოუძახა, თვითონ არ ამბობენ."

ძალადობისგან დაცვის ლეგალურ გზებს ძალადობის მსხვერპლი ყველაზე იშვიათად ირჩევს. როგორც ჩანს, ქალების მიერ ძალადობასთან ბრძოლის ხერხები არ შეესაბამება ძალადობასთან ბრძოლის აღიარებულ სტრატეგიებს, როგორიცაა ძალადობის პრევენციის ცენტრთან თუ პოლიციასთან დაკავშირება და მოძალადის წინააღმდეგ საჩივრის შეტანა.

ქალების წინააღმდეგ განხორციელებული ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძალადობა, თუ იძულება ერთ-ერთი მძიმე პრობლემაა, რაც ჯერ კიდევ ტაბუირებული თემების რიცხვში შედის ქართულ საზოგადოებაში. მიუხედავად იმისა, რომ ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად მუშაობს სასამართლო სისტემა, ბევრი სამთავრობო, თუ არასამთავრობო ორგანიზაცია, კვლევების საფუძველზე ჩანს, რომ ეს საკითხი აქტუალობას მაინც არ კარგავს. სახელმწიფო დონეზე სპეციალური სერვისების და კანონმდებლობის არსებობა იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ოჯახში ძალადობას პრობლემად აღიქვამს და მისი აღკვეთის გზებს ეძებს.

სახალხო დამცველის აპარატი ერთ-ერთია იმ უწყებებიდან, რომელიც სერიოზულად ფიქრობს ამ პრობლემის მოგვარებაზე და მოტივირებულია, დაეხმაროს ძალადობის მსხვერპლთ. ამისთვის არსებობს ცხელი ხაზი, რომელზეც შეგიძლიათ დარეკოთ სახალხო დამცველის აპარატში. ისინი პრობლემის დაძლევაში ყველას დაეხმარებიან. ცხელი ხაზის ნომერია-14-81.

მასალა მოამზადა
ინგა ციოლაშვილმა

ჩემი სიმდიდრე ჩემი შთამომავლობაა!

კოხტად ჩაცმული და მოწესრიგებული მომეგება ოთახში შესულს, ქალისადმი პატივისცემის და მოწიწების ნიშნად ოდნავ თავდახრილმა, ხელი ჩამომართვა, მერე მარცხენა ხელი ჩვენს ხელებს ზემოდან დაადო და თბილად მომიკითხა. მეამა. ახლა ძალიან იშვიათად შეხვდებით ზრდილობისა და ინტელექტის ასეთი ფორმით გამომჟღავნებას. ეს ძველი თაობის მანერაა, რომელიც, სამწუხაროდ, დღევანდელობაში, უფრო ზუსტად ახალგაზრდებაში, აღარ გამოიყენება. თავიდანვე გავამჟღავნოთ: - დღევანდელი წერილის მთავარი პერსონა **აბრამ ხარაშვილი** *გახლავთ.*

სასაუბროდ მაგიდასთან პირისპირ ვსხდებით და ვიწყებთ სულ თავიდან, ანუ, დაბადებიდან. ის 1926 წლის 2 აგვისტოს, ელიათობის დღესასწაულზე მოვლინა ქვეყანას. როგორც მიხვდით, ბატონი აბრამი წელს იუბილარია. მას 90 წელი შეუსრულდა. გიორგი ხარაშვილი და მარგარიტა ყოჩიაშვილი პირველი შვილის და ისიც ვაჟის დაბადებამ ძალიან გაახარა. მას შემდეგ კიდევ ორი ბიჭი და ორი გოგო შეეძინათ და ეს უბრალო, მშრომელი გლეხის ოჯახი ურთიერთსიყვარულითა და სიხარულით აივსო. შრომობდნენ და ალალ ლუკმას სჭამდნენ, მაგრამ, მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ, ყველაფერი თავდაყირა დააყენა. მაშინ აბრამი მერვე კლასის მოსწავლე იყო, უმცროსი ძმა კი, სულ რალაც 3 თვის. მამა პირველსავე ნაკადზე ფრონტზე წავიდა. სხვა გზა არ იყო, აბრამმა სწავლა მიატოვა, მამისაგან გამართული ხარ-უღელი და ურემი გადაიბარა და ოჯახის მარჩენალის ვალდებულება აიღო. შრომობდა თავდაუზოგავად, წელიწადში ხან 1000-1200 შრომადღეს გამოიმუშავებდა და დაძმებისთვის სამყოფ სარჩო-საბადებელს მუდამ შოულობდა. უკვე 19 წლის შრომაში გამოჯეკილი ჭაბუკი იყო, მამა ომიდან რომ დაბრუნდა. სავსე ბეღელი და მარანი დაახვედრა სიყრმის შვილმა და თავისი ხარ-უღელი და ურემი უკან დაუბრუნა. ამასობაში სამხედრო ვალდებულებამაც მოუწია და საქართველოს გასამხედროებულ სახანძრო ნაწილში დაიწყო სამსახური. ერთ წელში ნაწილი დაიხურა და აბრამი თბილისში მილიციის განყოფილებაში გააგზავნეს სამსახურის გასაგრძელებლად. გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა, თბილისის გზა-კვალი არ ვიცი, ჩემს ხალხში მირჩევნია ყოფნაო.

ამასობაში კი, უკვე ვაჟკაცი ხარ დამოუკიდებლად შეგიძლია ცხოვრებაო, უთხრა მამამ და დაოჯახება შესთავაზა. არ იუარა ვაჟმა, რადგან თვალი უკვე დადგმული ჰქონდა მშვენიერ ელენე ნასრაშვილზე. დაოჯახებულს კი თბილისში წასვლაზე ძალა აღარ დაატანეს და წითელწყაროს შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში რიგით პოლიციელად დანიშნეს. ერთ წელში ქედების ზონის ინსპექტორად გაამწესეს და ოჯახთან ერთად იქ გადავიდა საცხოვრებლად. პირველი შვილი - გივიც იქ შეეძინა 1947 წელს. ხედავდა ხელმძღვანელობა მის შრომისმოყვარეობას, საქმის ერთგულებას და გონიერებას და ქალაქის უბნის ინსპექტორობა მიანდეს. სამსახური სამსახური იყო, მაგრამ სწავლაზე ფიქრი არ შეუწყვეტია. მუშა- ახალგაზრდობის საღამოს სკოლაში გააგრძელა სწავლა. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ერთწლიან მილიციის სკოლაში გააგზავნეს (ახლა მსგავს სასწავლებელს პოლიციის აკადემია ჰქვია) მაღალი დონის სწავლება იყო, აბრამი ძალიან დაინტერესა იურისპუდენციამ, სულ ფრიადებზე სწავლობდა და სწავლის გაგრძელებაზეც ოცნებობდა. არ გასჭირვებია მოსკოვის ფილიალის უმაღლეს სასწავლებელში იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაბარება. იურისტის დიპლომით ის წითელწყაროში დაბრუნდა და „ობეხეების“ ინსპექტორად დაინიშნა. მიუხედავად იმისა, რომ უაღრესად რთული და დატვირთული რეჟიმი ჰქონდა, ცოდნის დონის ამაღლება და წიგნი მისი ცხოვრების წესი გახდა. მზარდი ახალგაზრდის შესაძლებლობებს ყველა ხედავდა და იგი მილიციის და სახანძროს გაერთიანებული კომკავშირის მდივნად და რაიონული ბიუროს წევრად აირჩიეს. ეს დიდი პატივი და მოვალეობა იყო, რომელსაც აბრამი დიდი მონდომებითა და ერთგულებით ემსახურებოდა. მალე დაანინაურეს კიდეც:- მილიციის უფროს ინსპექტორად დანიშნეს, რაც უფროსის მოადგილის რანგში გადიოდა, რადგან უშუალოდ მოადგილის შტატი არ არსებობდა.

- ახლა რომ უამრავი ტექნიკური საშუალებით არიან აღჭურვილი პოლიციელები, ვერტმფრენებიდან დაწყებული კომპიუტერებით დამთავრებული, ასე როდის იყო ყოველთვის. მე და უფროსს ერთი სანახევრო ცხენი გვყავდა და იმით ვმოძრაობდით, მაგრამ, მინდა გითხრათ, უფრო მეტი წესრიგი იყო, ჩვენ ხომ დღე და ღამე გაერთიანებული გვქონდა და ხალხიც უფრო კანონმორჩილი და წესიერი იყო. არავინ თქვას, სილარიბისა და უქონლობის გამო ხდება ახლა უამრავი დანაშაული, არა, მაშინ უფრო ნაკლებშეძლებული იყო ოჯახები, მაგრამ ქურდობა უკადრისი საქციელი იყო. ასე გახშირებული მკვლელობები, ოჯახის წევრებს შორის მით უმეტეს, არ არსებობდა. ადამიანების ფსიქიკა შეიცვალა უარესობისაკენ, თავისუფლება ბევრის ცნობიერებაში ქაოსში გადაიზარდა, დაიკარგა უმცროს-უფროსობა, მშობლის და შვილის ურთიერთდამოკიდებულება და ვალდებულება, მეგობრობის, მეზობლობის და ერთგულების დეფიციტია ახლა სულ 7 მილიციელი, 5 უბნის რწმუნებული, მილიციის უფროსი, ერთ „ობეხეესი“ და ერთიც უშიშროების წარმომადგენელი, სულ 15 კაცი ვიყავით რაიონულ განყოფილებაში და მოსახლეობის რაოდენობა 45 ათასს აღწევდა! სამწუხაროდ, ნურავის ეწყინება, უარესობისაკენ შეიცვალა ბევრი რამ. ბევრს ჰგონია, რომ პოლიციელი წარმოსადეგი აღნაგობის და ღონიერი უნდა იყოს, არა, პოლიციელი გონიერი, კაცთმოყვარე, პატიოსანი და პრინციპული უნდა იყოს, მისი საზომი კი – სამართლიანობა! იქნებ არაპოპულარულია, რასაც ახლა ვიტყვი, მაგრამ მე ასე მჯერა და ასე მწამს: ნარკოპოლიტიკასა და განსხვავებულ ორიენტაციაზე ამდენი მსჯელობა მაღიზიანებს. „ავს თუ ავი არ ვუწოდო, კარგს სახელად რა დავარქვაო,“- გვეუბნება გურამიშვილი და ასეცაა. ადამიანის უფლებაა, მიიღოს ნარკოტიკი, ტრანსგენდერს ან მამათმავალს შეუძლია იცხოვროს ისე, როგორც სურს, მაგრამ ასეთი „თავისუფლების“ პირობებში როგორ საზოგადოებას მივიღებთ? როგორი იქნება ჩვენი შთამომავლობის ჯანმრთელობა, მორალი?! არადა, ნურც მიმბაძველობის და ცუდი ზნისკენ ადამიანის მიდრეკილებას გამოვრიცხავთ ზოგადად, ჩვენ ხომ იმ ფესვების ხალხი ვართ, ვისი კულტურა და ცხოვრების წესი ერთ ცეკვაშია ჩატეული, - „ქართულის“ ცეკვისას მამაკაცის ჩოხის კალთაც კი არ ეხება ქალის კაბას. მარტო სცენაზე ნუ დარჩება ეს ყველაფერი, დავფიქრდეთ, რაზე ვმსჯელობთ, პათეტიკურად ნუ მოგეჩვენებათ მოხუცის ეს ნათქვამი ან დრომოჭმულად, ეს ცხოვრების გრძელი გზა, დიდი გამოცდილება და წინ გახედვის უნარია, მინდა ამ უზარმაზარი ტექნიკურ-ტექნოლოგიური შესაძლებლობების პირობებში ჩვენმა გონიერმა შთამომავლობამ ღირსეულად იცხოვროს, განვითარდეს, წარმატებებს მიაღწიოს, იყოს ბედნიერი, ამას კი, პირველ რიგში, ჯანმრთელობა და საღი ფსიქიკა სჭირდება, – გვეუბნება ბატონი აბრამი და უამრავი მაგალითი მოჰყავს ცხოვრებისეული სიბრძნის დასამტკიცებლად.

ჩვენ კი, ისევ მისი ცხოვრების გზას მივუბრუნდეთ: გასული საუკუნის 60-იან წლებში წითელწყაროდან საგარეჯოში გადაიყვანეს სამუშაოდ. სულ მალე რაიონების გამსხვილება მოხდა, საგარჯო გურჯაანს შეუერთდა და გურჯაანის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებაში უფროსის მოადგილედ დაინიშნა. ხუთიოდ წელში რაიონები ისევ შეერთდა და აბრამ ხარაშვილი კახეთის რეგიონის რკინიგზის მილიციის უფროსის პოსტზე გადაიყვანეს. სწორედ ამ სამსხურში შეუსრულდა საპენსიო ასაკი და 1971 წელს, პოდპოლკოვნიკის ჩინით, დატოვა სამსხური. სადაც იცხოვრა და სადაც იმუშავა, მისი სული და გული მაინც მშობლიურ

წითელყაროში იყო და იგი დბრუნდა. აქედან იწყება მისი სამოქალაქო სამსხურიც. ჯერ „კირის ქარხნის“ პროფკავშირის თავმჯდომარე იყო წლების განმავლობაში, მერე საქნავთის მუშათა მომარაგების უფროსი, კარგა ხანს წითელწყაროს რაიაღმასკომთან არსებული სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსი იყო. ბოლო პოსტი კი, მშობლიურ სოფელ ჯაფარიძეში ერგო – ის სოფლის საბჭოს უკანასკნელი თავმჯდომარე გახლდათ. ეს ის დრო იყო, საბჭოთა კავშირი რომ ინგრეოდა, ახალი ცხოვრება იწყებოდა, კოლმეურნეობები იშლებოდა და..

- სწორედ იმ რთულ პერიოდში მომიწია სოფლის გაძღოლა, როცა კოლმეურნეობა დაიშალა და მიმდინარეობდა მისი ქონების და მიწების გადანაწილება. იმთავითვე ვიცოდი, რომ ჰექტარ-ჰექტარ დანანევრებული სახნავ-სათესი მასიური ფართობები ეფექტს დაკარგავდა. ამიტომ ვთავაზობდი მცირემიწიან გლეხებს კოოპერატივებში გაერთიანებას, შიდასამეურნეო რეორგანიზაციას, მაგრამ.. მაშინ ეს ხალხმა ვერ გაიგო, ჩათვალა, რომ ჩემი პირადი ინტერესები მალაპარაკებდა და არ დამიჯერა. ამას რომ მიმხვდარიყვნენ, ბევრი დრო დასჭირდათ. თითქმის ოცი წლის შემდეგ დაიწყო სახელმწიფომ იმავე კოოპერატივების შეთავაზება, მაგრამ უკვე დეგრადირებული და გაუნაყოფიერებული მიწების თავმოყრა და გაერთიანება ჭირს და ეს პროცესი თითქმის არ იძვრის ადგილიდან. დღესაც ასე ვფიქრობ, რომ ერთად დგომით და ერთად შრომით უფრო მეტი მიიღწევა, - ამბობს ბატონი აბრამი, რაშიც სრულად ვეთანხმები.

უხერხულობის გრძნობა დავძლიე და რესპონდენტს ერთ სენსიტიურ თემაზე დავუსვი კითხვა: **- ბატონო აბრამ, იქნებ გვითხრათ, რა სტადიაზეა თქვენი მრვალწლიანი საჩივარი სანეპიდსადგურის ყოფილ შენობასთან დაკავშირებით?**

- ამბობენ, ვინც თავი არა თქვა, ბოლო ვერ გაიგოო. რადგან ამ საკითხით დაინტერესდით, ცოტა შორიდან მომიწევს დაწყება: 1959 წლის 21 დეკემბერი იყო. სტალინის დაბადების დღის აღსანიშნავად კლუბში საზეიმო სხდომა მიმდინარეობდა. საშინელი ამინდი იდგა. ისეთი ძლიერი ქარი ქროდა, რომ ხეები სულ ერთიანად დალეწა, ზოგიც სრულად მოთხარა და გადაანაცვლა. მე საზეიმო სხდომა დავტოვე და სამახურში საგანგებო მდგომარეობა გამოვაცხადე. ამის უფლება მქონდა, რადგან უფროსის მოადგილე ვიყავი, იმ დროს კი, უფროსი კუთვნილ შვებულებაში იმყოფებოდა. ამით შევქმენი პრევენციული სიტუაცია კრიმინოგენულ თუ ეკოლოგიურ დარღვევათა თავიდან ასაცილებლად. იმის გამო, რომ აღნიშნული ღონისძიება საზეიმო სხდომაზე მყოფ პირველ პარტიულ ფუნქციონერს არ შევუთანხმე და სხდომიდან არ დავეთხოვე, მეორე დღეს, სხვების თანდასწრებით დამამცირებელი შენიშვნა მივიღე მისგან, რაზეც მე სიმართლე იქვე დაუფარავად ვუთხარი, რომ მე ჩემი მოვალეობა შევასრულე და ამაზე არავისი ნებართვა არ მჭირდებოდა. მან ეს შეპასუხება ძალიან იწყინა, გულში ჩაიდო და არც არასდროს მაპატია. ასეთი მიდგომა მაშინდელ „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ მხრიდან არცთუ იშვიათი იყო. მე მივხვდი, რომ ჩემს თავზე შავი ღრუბელი ირეოდა და კამეჩთან მორკინალ ხარს რქები არ შერჩენია. ამიტომ გადავედი რაიონიდან საგარეჯოში, მერე გურჯაანში. ის კი დანინაურდა და ცენტრალურ კომიტეტში გადავიდა დედაქალაქში. ჩემზე დაუმსახურებელი ზეწოლა უფრო გაძლიერდა. 1968 წელს სახლის მშენებლობა დავიწყე ქალაქ წითელწყაროში, რუსთაველის ქუჩაზე. ყველა საბუთი სრულყოფილი მქონდა, არაფერი დამირღვევია, მაგრამ.. მეორე სართული ფანჯრებამდე ამოყვანილი მქონდა, მშენებლობა რომ შემაწყვეტინეს. ჩემი სიმართლე ვერსად დავამტკიცე. ჩემი მიზიდული მასალებით შენობა დაამთავრეს და იქ სანეპიდსადგური განათავსეს. ათეული წლობით ჩივილის, ნერვების წყვეტის და დაუნებებლობის ხარჯზე დავამტკიცე, რომ ყველაფერი კანონიერად მქონდა გაკეთებული, ბოლოს 1 სართული მარგუნეს მე, მეორე სართული კი, რომელიც არავის ბალანსზე არ იყო აღრიცხული, როგორც იქნა, მუნიციპალურ საკუთრებად გამოაცხადეს. ახლა სიტუაცია ასეთია: მეორე სართული შეფასდება და უფლება მომეცემა, გამოვისყიდო. ამასობაში კი შენობა უპატრონობით ინგრევა, სახურავიდან წყალი ჩამოდის. ისე რომ, საქმე, რომელმაც ჩემი ცხოვრების ნახევარი დავიდარაბაში გამატარებინა, ჯერ კიდევ დასრულებული არ არის. იქნებ ამ მთავრობამ მაინც აღადგინოს სამართლიანობა, დამდოს პატივი 90 წლის კაცს და სიცოცხლეში მომასწროს საბოლოო გადაწყვეტილებას.

- ღმერთმა ხელი მოგიმართოთ. არადა, თუ ვინმე დაინტერესდება და თვალს გადაავლებს იმ ჯილდოებს, რომელიც აბრამ ხარაშვილს ხანგრძლივი ცხოვრებისა და მოღვაწეობის განმავლობაში ათეულობით აქვს მიღებული საზოგადოებრივი საქმიანობის თუ პროფესიაში მიღწეული წარმატებებისათვის, მიხვდება, რომ ამ კაცს ღირსეულად უცხოვრია და ღირსეულ დაფასებას იმსახურებს. თავად კი ორ მათგანს გამოარჩევს, პირველს – 19 წლისას რომ მიანიჭეს და სამამულო ომის მონაწილეებს გაუთანაბრეს ზურგში განეული თავდადებული შრომისათვის, რომელსაც სტალინის ბარელიეფი და წარწერა „ჩვენი ბრძოლა სამართლიანია, ჩვენ გავიმარჯვებთ!“ ამშვენებს და ბოლო ჯილდო – რესპუბლიკის გამოჩენილი ადამიანების გვერდით „მეტრის“ ნომინაცია, რომელიც დედოფლისწყაროს საზოგადოების გამოკითხვის შედეგად მიენიჭა მას.

ახლა კი ყველაზე მნიშვნელოვანი თემა აბრამ ხარაშვილის ცხოვრებიდან - ოჯახი, დიდი ოჯახი, რომელიც სულ რაღაც ორიოდე წლის წინ ცხრამეტს შეადგენდა და ერთი ადამიანის გამოკლებამ დიდი ტკივილი და შეუვსებელი სიცარიელე დაუტოვა მას. 69 წლიანი თანაცხოვრების შემდეგ, 88 წლის ასაკში, გარდაიცვალა ამ დიდი ოჯახის დედა - ქალბატონი ელენე. მეუღლის დაკარგვით გამოწვეულ ტკივილს ორი შვილი, ხუთი შვილიშვილი და ექვსი შვილთაშვილი სიხარულით ავსებს აბრამის სიცოცხლეს.

უფროსი შვილი – გივი პროფესიით კვების ტექნოლოგია, მაგრამ მამის კვალზე მოუწია მაინც სიარული. იგი ათეული წლები შინაგან საქმეთა სამინისტროში კადრების სამმართველოში მუშაობდა, წოდებაში მამას გადაასწრო და პოლკოვნიკის ჩინით დამსახურებულ პენსიაზე გავიდა. მისი მეუღლე ლალი ბინკინაშვილი დაწყებითი კლასების პედაგოგია, რომლის კლასში მოხვედრაზეც რიგში ორი წლით ადრე დგებიან. მათ ხუთი საუკეთესო შვილი გაუზარდეს ქვეყანას: ბებიის მოსახელე ელენე სტომატოლოგია, მუშაობს ნინო ბერიძის ორთოდენტურ ცენტრში, ჰყავს ორი შვილი გივი და ანკა. მეორე ქალიშვილი ანა წარმატებული მხატვარია და ახალგაზრდა მხატვართა კატალოგშია შეყვანილი. მას 2014 წელს მიენიჭა „ახალგაზრდა პროფეიონალის“ ნომინაცია. ჰყავს წლინახევრის მარიამი. მაგდამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა, იუსტიციის სამინისტროში ერთ-ერთ სამსხურს უძღვება, ორი შვილის – თამარის და გიგის დედაა. დავითი ფინანსისტია, „კრედიტონ-ჯი-ში“ მიკროსაფინანსო განყოფილების უფროსია. ჰყავს წლინახევრის ნუციკო, ნაბოლარა ნინო 25 წლისაა, ნარჩინებით დაამთავრა შავი ზღვის უნივერსიტეტის ბიზნეს-ადმინისტრირების ფაკულტეტი. ჯერჯერობით დასაოჯახებელია.

ბატონი აბრამის ქალიშვილს – მარინა ხარაშვილს წარდგენა არ სჭირდება. ის ჩვენი რაიონის მთავარი მიკროპედიატრია. საიმედო, ერთგული პროფესიონალი, რომელსაც ასეულობით ბავშვის სიცოცხლე და ჯანმრთელობა შეუნარჩუნებია, არაერთი ღამე გაუთენებია სიკვდილთან ჭიდილში და გაუმარჯვია. ნუ მოუშალოს ჩვენს მომავალ თაობას მარინა ექიმის იმედი.

ქალბატონო მარინა, როგორი მამაა ბატონი აბრამი?

-მამა ყოველთვის ძალიან დაკავებული იყო სამსახურში. ბავშვობაში გავიღვიძებდით, წასული იყო, დავიძინებდით, ჯერ არ იყო მოსული. მაგრამ ამაყი ვარ, რომ იგი სამართლიანი ადამიანი არის და არასოდეს დაუჩაგრია უდანაშაულო ადამიანი. სამაგიეროდ, როგორც პაპა და დიდი პაპა არის მზრუნველი, თბილი და საყვარელი შვილიშვილებისა და შვილთაშვილებისათვის. მიუხედავად ასაკისა, არ ისვენებს, უვლის ძროხას, ქათმებს, კურდღლებს, ამუშავებს საკარმიდამო ნაკვეთს, მოჰყავს ბოსტნეული, ხილი, რომ მისმა ოჯახმა, აქაც და დედაქალაქშიც, ნატურალური პროდუქტი მიიღონ.

თქვენს დიდ ოჯახთან ერთად ჯანმრთელობას, სიხარულს და ბედნიერებას გისურვებთ, ბატონო აბრამ, დამდეგ შობა-ახალ წელს და საიუბილეო თარიღს გილოცავთ.

ნაირა გორაშვილი

რატომ აცხობენ ბარბარობის დღესასწაულზე ლობიანებს?

17 დეკემბერს ქრისტიანული ეკლესია ბარბარობის დღესასწაულს აღნიშნავს. წმინდა ბარბარე სარწმუნოებისთვის IV საუკუნეში აღესრულა -

მას თავი საკუთარმა მამამ, წარმართმა თავადმა, დიოსკორემ მოკვეთა. წმინდანის წმინდა ნაწილები კიევში, ვლადიმირის ტაძარში განისვენებს და მისგან სასწაულები დღესაც აღესრულება. წმიდა ქალწულმოწამე ბავშვების მფარველად ითვლება, ამას გარდა მას ყრმათა კურნებისთვის, შვილიერებისა და მოულოდნელი უზიარებელი სიკვდილისგან დაცვისთვისაც ევედრებიან.

ქალწულმოწამე ბარბარე საქართველოში განსაკუთრებულად უყვართ. ამ დღესთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა ხალხური ტრადიცია, რომლის მიხედვით ოჯახებში მეკვლეს იღებენ და ლობიანებს აცხობენ. მაინც საიდან მოდის ეს ტრადიცია და აქვს თუ არა მას ქრისტიანობასთან კავშირი?

აღსანიშავია, რომ ბარბარობა საქართველოში წინაქრისტიანული ხანის წარმოდგენებსაც შეიცავს. ქართველები ბარბოლს, ბარბლაშის (სვანეთი) და ბარბალეს სახით თაყვანს სცემდნენ ამავე სახელწოდების წინაქრისტიანული მზის ადგილობრივ ღვთაებას. ქართველებს იგი წარმოდგენილი ჰყავდათ როგორც ქალების, ფურების და საერთოდ ბუნების ნაყოფიერების დედური ძალების მფარველი ასტრალური ქალღვთაება. ეს დღეობა ითვლებოდა ზამთრის მზის ბუნიობის დღეობად.

ღვთაება ბარბალეს ატრიბუტებს წარმოადგენდა წრიული საგნები - რკინისა თუ მწვანე რტოებით დამზადებული წრეები, კვირისტავები, გვირვინი და სხვა. მისდამი პატივსაცემად დღესასწაულზე აცხობდნენ მზის დისკოს ფორმის ღვეზელებს.



ქრისტიანობის შემოსავლის შემდეგ ღვთაების მდედრობითი სქესისა და სახელთა დიდი მსგავსების გამო, რიგითი მორწმუნეების გარკვეულ ნაწილში მოხდა ორი სუბიექტის - დიდმოწამესა და წარმართული ღვთაების გაიგივება. ამის გამო წმ. ქალწულმოწამე ბარბარეს დღესასწაულზე აცხობდნენ ბარბალესადმი მიძღვნილ ღვეზელებს. ვინაიდან ქალწულმოწამე ბარბარეს ხსენება აღინიშნება შობის მარხვაში, ღვეზელიც სამარხვო მზადდებოდა, თუმცა, ცხადია, არა ლობიოს შიგთავსით. ლობიო ევროპასა და საქართველოში მხოლოდ XVI საუკუნეში გაჩნდა და ლობიანიც სწორედ ამ დროიდან გახდა პოპულარული, განსაკუთრებით მარხვაში.

ასე რომ, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ლობიანის ცხობა წმ. ბარბარეს დღეს წარმართული ტრადიციაა და ქარისტიანულ რელიგიასთან კავშირში არაა.

სინათლის წელიწადი

თბილისის ალექსი მაჭავარიანის სახელობის საკონცერტო დარბაზში ფონდ „იავნანას“ თაოსნობით, გაიმართა მორიგი საქველმოქმედო კონცერტი „სინათლის წელიწადი – როკ-კანტატა თაობა XXI“. პროექტის ავტორი გახლდათ გიგი გეგელაშვილი, რომელიც წლების მანძილზე ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილ კონცერტებს „ პატარა ვირტუოზები“ უძღვებოდა თავის უმშვენიერეს დედასთან ინგა ბერაძესთან ერთად, მათ მიერ შესრულებული დუეტი – საბრძოლო სიმღერა აფხაზეთზე, ჰიტად იქცა. სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ „პატარა ვირტუოზების“ კონცერტში ჩვენი ქორეოგრაფიული ანსამბლი „ხორნაბუჯი“ (ხელმძღვანელი ლეო ხუნაშვილი) მაშინ გრან-პრის მფლობელი გახდა და დორიან კიტიას და ლანა საყვარელიძის ხელმოწერით სპეციალური დიპლომებით დაჯილდოვდნენ ანსამბლ „ხორნაბუჯის“ სოლისტები.

საქველმოქმედო კონცერტში მონაწილეობდნენ ევგენი მიქელაძის სახელობის საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრი ნიკოლოზ რაჭველის დირიჟორობით. ასევე არაერთ მუსიკალურ პროექტში გამარჯვებული ცნობილი მომღერლები: სოფო ხალვაში, ლუკა ზაქარიაძე, ოთო ნემსაძე და სოფო ტოროშელიძე.

ნიკოლოზ რაჭველმა საოცრად მაღალი დონის მუსიკა შესთავაზა მსმენელს. ფონდმა „იავნანამ“ ტრადიციას არ უღალატა და ფონდის შვილობილმა დიტო რაზმაძემ გიგი გეგელაშვილს გადასცა „იავნანას“ უმაღლესი ჯილდო „ოქროს რაში“, რომელიც პაატა ბურჭულაძემ წლების მანძილზე გადასცა მიშელ კრაიდერს, მონსერატო კაბალეს, ჯემალ ჭკუასელს, ნინო და ილიკო სუხიშვილებს და მრავალ გამოჩენილ უცხოელ თუ ქართველ ხელოვნების მოღვაწეს.

„XXI თაობამ“ ფურორი მოახდინა მსმენელზე.

არსებობს კარგი და ცუდი მუსიკა, - თქვა კონცერტის დასასრულს მაესტრომ ნიკოლოზ რაჭველმა, - ჩვენმა სიმფონიურმა ორკესტრმა კარგი მუსიკა შესთავაზა საკონცერტო დარბაზში მყოფ ზღვა მაყურებელს. თაობა მიდის, თაობა მოდის, თითოეულ საკონცერტო ნომერს ხანგრძლივი ოვაცია და აპლოდისმენტები სდევდა თან, მაყურებელი ფეხზე ადგომით და ტაშით აჯილდოვებდა თითოეულ მათგანს.“

ნანა ჭიჭინაძე

უკანონო ნადირობის ფაქტი დედოფლისწყაროში

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის, კახეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, მიმდინარე წლის 10 დეკემბერს უკანონო ნადირობის ფაქტი გამოავლინეს. უწყების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სამართალდამრღვევები ნადირობდნენ ე.წ. „პროჟექტორის“ გამოყენებით. როგორც გარემოს დაცვის ინსპექტორებმა დედოფლისწყაროში ინსპექტირებისას აღნუსხეს, მათ უკანონოდ მოპოვებული ჰყავდათ 1 ერთეული კურდღელი და საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობა 16 ერთეული სარსარაკი.

სავათისებრთა ოჯახის ფრინველი საერთაშორისო კონვენციების თანახმად, სარსარაკი შეტანილია საერთაშორისო წითელ წიგნში და მისი მოპოვება აკრძალულია. ამჯერად გარემოზე მიყენებულმა ზიანმა 24 000 ლარი შეადგინა.

სამართალდამრღვევებს ჩამოერთვათ და ადგილზე დაილუქა სანადირო იარაღები. ინსპექტორების მიერ შედგა ადმინისტრაციული ოქმები. ვინაიდან, მასალები შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნება შესაბამის საგამოძიებო ორგანოებს.

„მნიშვნელოვანი სამართალდარღვევის ფაქტს ჰქონდა ადგილი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. დროულად ჩაერთო გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების განყოფილება და უკანონო ნადირობა აღკვეთა. ვინაიდან დანაშაული შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, მოგროვებული მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით შესაბამის საგამოძიებო ორგანოებს გადაეგზავნა. დანარჩენ დეტალებს გამოძიება დაადგენს,“ - აღნიშნავს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის წარმომადგენელი რამაზ მარტიაშვილი.

სარსარაკი ბერნის კონვენციის თანახმად, შეტანილია საერთაშორისო წითელ წიგნში. ის წარმოადგენს ძვირფას სარეწაო-სანადირო ობიექტს. საქართველოს წითელი წიგნი 1982 წელს გამოიცა და როგორც „შირაქმა“ გაარკვია, საქართველოს ფაუნიდან 141 სახეობა შეტანილია წითელ ნუსხაში.

საქართველოს ფარგლებში სარსარაკი გვხვდება მოზამთრე ფრინველის სახით. ფრინველი რეგისტრირებულია აღმოსავლეთ საქართველოში, მისი ძირითადი ბინადრობის არეალად ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალი მიიჩნევა. სარსაკი ევროპისა და აზიის, ასევე ჩრდილო აფრიკის ზომიერ რაიონებშიც ბინადრობს. ცხოვრობს მხოლოდ იმ სტეპებში, სადაც ურალის მცირე ნაკვეთები კიდევ დარჩა.

ამას გარდა, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების განყოფილების თანამშრომლებმა ნადირობის წესების დარღვევის 2 ფაქტი გამოავლინეს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მოქალაქეები ნადირობდნენ გადამფრენ ფრინველზე ნადირობისთვის განკუთვნილი მოსაკრებლის ქვითრის გარეშე. შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები. მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გადაიგზავნა სიღნაღის რაიონულ სასამართლოში.

ილია მარტყოფლიშვილი

გახსენება

თამაზი (ბათია) ტუსაშვილი



მონატრებაზე ძნელი და სიკვდილზე შემზარავი არაფერია ამქვეყნად. გვაკლია შენი ღიმილი და სითბო, უამრავ მოგონებას, შენი ნახვის სურვილს და ზღვა ცრემლს ვატან ამ ბარათს. ათი წელი, ათი გაუსაძლისი წელი გავიდა, რაც ჩვენთან აღარ ხარ. ვინ თქვა, დრო მკურნალიაო, პირიქით - ძლიერი მონატრებაა, უფრო გაღმავდა გულისტკივილი და ნახვის მტანჯველი სურვილი, იმაზე მეტად ძვირფასი ყოფილხარ, ვიდრე გვეგონა. ყოველი დღე უფრო მტკივნეულია და გაუსაძლისი. 2006 წლის 22 დეკემბერს უეცრად წახვედი და დაგვიტოვე უსასრულო სევდა. უზომოდ გვაკლიხარ და გვენატრები. ყველგან გვესმის შენი ფეხის ხმა. ჩემი თვალები ვერ გადაეჩვია შენს ლოდინს, ძვირფასო! ძნელია შვილზე წერა, როცა იგი მოგონებად არის ქცეული. უზომო სულის ტკივილმა, უშენობამ ჩემი საყვარელო, ალალო, სიცოცხლეზე და ცოლ-შვილზე გულდაწყვეტილო შვილო, ძალიან ენატრები შენს ოჯახს, შენს ნონას, შვილს - ილიკოს, მაგრამ სიცოცხლე გრძელდება, პატარა შვილიშვილები სალომე და თეკლა, რომლებიც მხოლოდ სურათებიდან გიცნობენ, ყოველ დღე ელოდებიან შენს დაბრუნებას, მალე თავისი პატარა ხელებით მოგიკრეფენ ყვავილებს და დაგიწყობენ საფლავზე, საიდანაც იყურები გაყინული თვალებით.

ამიტომ, გულმხურვალედ შევთხოვ უფალს, ნათელში გამყოფოს. ჩვენს მიერ დანთებული სანთლები და ლოცვა-ვედრება გინათებდეს გზას, მშვიდად განისვენე ცათა სასუფეველში და ილოცე შენი შვილის და რძლისათვის, შვილიშვილებისათვის, შენი ნონასათვის და მოხუცი მშობლებისათვის. შენ მათ გულებში სამუდამო ტკივილად დარჩი.

იძინე მშვიდად, ყოველთვის ვილოცებთ შენი ლამაზი სულისათვის. შორიდან გეფერებით, ჩვენო მოუშუშებელო ტკივილო, ჩვენო ბათიავ.

შენი ოჯახი

გულო და ესმა პოპიაშვილები ოჯახებით იუწყებიან დის

მემო პოპიაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება თბილისიდან და დაკრძალვა დედოფლისწყაროში 20 დეკემბერს, 1 საათზე, ძველ სასაფლაოზე.

ხან საქართველოს ჰიმნს წავიმღერებ და ხან იმაზე ვფიქრობ, -„ვახ, სოფელო რაშიგან ხარ...

ემიგრანტების თემა კვლავ აქტუალურია საქართველოში. უამრავი ადამიანი, ვინც საკუთარ ქვეყანაში თავისი შესაძლებლობების რეალიზაციას ვერ ახდენს, უცხო ქვეყანაში მიდის სამუშაოდ. ზოგი ბრუნდება უკან, ზოგს კი ოჯახის წევრებიც თან მიჰყავს.

ამჯერად ჩვენი რაიონიდან წასულ ერთ ლამაზ ოჯახზე მოგიყვებით. ისინი უკვე ათეული წლებია, ამერიკაში ცხოვრობენ და იქ დაიმკვიდრეს ადგილი. ექიმ გიორგი ობოლაშვილის ოჯახი ერთ-ერთია, რომელიც ყველაზე მეტად არ ეთმობოდა რაიონს და რომელთა დანაკლისს დღემდე განიცდის დედოფლისწყაროს საზოგადოება, თუმცა ამაზე მათ არ უოცნებიათ, ცხოვრებამ მოითხოვა ასე. უამრავი სირთულის და წინააღმდეგობების გადალახვის შედეგად გიორგი ობოლაშვილის და მისი მეუღლის თამრიკო ღუბიანურის ოჯახი დღეს ლოს- ანჯელესის მაცხოვრებლები არიან, საკმაოდ წელში გამართულად ცხოვრობენ და ახლო მომავალში უკან დაბრუნებას არ აპირებენ. ვერც გავამტყუნებთ, ადამიანები იქ არჩევენ ყოფნას, სადაც მათი სწავლა და შრომა ათჯერ მეტადაა დაფასებული, ვიდრე აქ. ასე რომ, ვაგრძელებთ რუბრიკას „ემიგრანტების ცხოვრება“ და გთავაზობთ ინტერვიუს გიორგი ობოლაშვილის მეუღლესთან, უმშვენიერეს თამარ ღუბიანურთან.

- თამრიკო, ამერიკა, ეს არის ყველა ადამიანის ოცნების ქვეყანა, სადაც ყველას სურს მოხვდეს. თქვენ რას დაარქმევდით ამერიკაში მოხვედრას, გამიზნულ გეგმას, თუ ცხოვრების ბედისწერას?

-მე, პირადად, არასოდეს მიოცნებია ამერიკაში ცხოვრებაზე, ამიტომ ჩემს შემთხვევას ბედისწერას მივაწერ.

- გია ობოლაშვილის, როგორც კარგი ექიმის სახელი, დღემდე მუსირებს დედოფლისწყაროს მოსახლეობაში. მე შევხვდი მოქალაქეს, რომელსაც ახსოვდა იგი, როგორც კარგი ექიმი და როდესაც გაიგო მისი ამერიკაში წასვლის შესახებ, ძალიან დასწყდა გული. რას ნიშნავდა გიას მეუღლეობა აქ, დედოფლისწყაროში თქვენთვის და რას ნიშნავს ახლა ამერიკაში ეს ყველაფერი?

-მადლობა მინდა მოვუხადო იმ ადამიანებს, ვისაც გია ახსოვთ, როგორც კარგი ექიმი და კარგი პიროვნება. მიხარია, რომ არსებობს ისეთი ხალხი, ვინც ადამიანებს პროფესიონალიზმით და პიროვნული თვისებებით აფასებს. გიას მეუღლეობა ჩემთვის ბედნიერებას ნიშნავდა მანდაც და ბედნიერებას ნიშნავს აქ, ლოს-ანჯელესშიც.

- თამრიკო, როდესაც საქართველოს ნოსტალგია მოგეძალებათ ხოლმე, მაშინ რას აკეთებთ?

-დღევანდელი თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებები ძალიან გვეხმარება ნოსტალგიის შემსუბუქებაში. როდესაც ნოსტალგია მომეძალება, ვუყურებ ქართულ სატელევიზიო სერიალებს და გადაცემებს.

-თქვენი ერთი ჩვეულებრივი დღის და სადღესასწაულო რეჟიმი...

-ჩემი დღის რეჟიმი ჩვეულებრივ დღეს ადრე ადგომით და სამუშაოზე წასვლით იწყება, სამუშაოდან დაბრუნებული ვამზადებ ვახშამს, სადილს ოჯახის წევრებისთვის. დასვენების დღეებში ვათვალიერებთ ლოს-ანჯელესის ღირსშესანიშნაობებს. დავდივართ კონცერტებზე, თეატრებში და ამით კომპენსაციას ვუკეთებთ ჩვენს თავს დაღლილობის და სტრესის მოსახსნელად. განსაკუთრებულ დღესასწაულებს შესაბამისად ტრადიციულად აღვნიშნავთ 24 ნოემბერს. ამერიკაში ტრადიციული დღესასწაული მადლიერების დღეა. ამ დღეს ყოველთვის ინდაურს ვწვავ და ოჯახის წევრები ერთად აღვნიშნავთ ამ დღესასწაულს. ასევე ტრადიციულად აღვნიშნავთ ახალ წელს - ოჯახის ყველა წევრი ერთად ვხვდებით ოჯახში.

- რამ გამოიწვია თქვენი წასვლა საქართველოდან და როგორ ცხოვრობთ უცხო ქვეყანაში?.

-ჩვენი წამოსვლა გამოიწვია სამსახურის გარეშე დარჩენამ, ბიზნესში არ, უფრო სწორად, ვერ გამართლებამ, უშუქობამ, უგაზობამ, წყლის გარეშე ყოფნამ და მოვიდა დრო, ბედი სხვა ქვეყანაში გვეცადა. როდესაც ამერიკაში ჩამოდიხარ, არსებობს ორი ვარიანტი: ან უნდა იშრომო და ისწავლო, რაც აუცილებლად დაგიფასდება. თუ არადა, ქუჩაში აღმოჩნდები. თავდაუზოგავი შრომით და სწავლით ჩემმა შვილებმა და მეუღლემ მიიღეს ამერიკაში განათლება. მე ჩემი წილი თავდაუზოგავი შრომით ხელი შევუწყე მათ განათლების მიღებაში.

-თქვენი არაჩვეულებრივი დიასახლისობის ამბავი სოციალური ქსელიდან კარგად ჩანს, ახერხებთ მოაწყოთ ოჯახური დღესასწაულები, თქვენი ჯადოსნული ხელებით გააკეთოთ გემრიელი სადილები და ასიამოვნოთ ოჯახის წევრებს, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკაში ძალიან სწრაფი ტემპით მიჰყვებიან ცხოვრებას, როგორ ახერხებთ ასეთი დღეები მოაწყოთ ხშირად.

-ვერ ვიტყვი, რომ არაჩვეულებრივი დიასახლისი ვარ, თუმცა, ურიგო სადილები არ გამომდის. მართალია, ამერიკაში ცხოვრების სწრაფი ტემპია და დროს ოქროს ფასი აქვს, მე მაინც ვახერხებ სახლში სადილების მომზადებას. მიყვარს და მსიამოვნებს, როდესაც ჩემს გაკეთებულ სადილებს გემრიელად მიირთმევენ ჩემი ოჯახის წევრები და ჩვენი ოჯახის მეგობრები. სახლში მომზადებული სადილები აქ დიდი ფუფუნებაა და თანაც უფრო ჯანსაღი საკვებია.

-რა ქართული წესი დარჩა თქვენში, რა ხასიათი გამოიცვალეთ და რა თვისებები შეისისხლხორცეთ ამერიკელი ხალხისგან და ტრადიციებისგან?

-მინდა გითხრათ, რომ ჩვენ არ შევცვლილვართ, უბრალოდ, ამერიკულმა გარემომ გამოკვეთა ისეთი თვისებები, რომლებიც ყველა ადამიანშია. პასუხისმგებლობის, დისციპლინის, კანონმორჩილების, ხვალინდელი დღის იმედის და წინსვლის მოტივაცია. აქ არ იზღუდება არცერთი ეროვნების ტრადიციები და უფლებები. ამიტომაც ჩვენი ტრადიციების (რა თქმა უნდა კარგის) მიმდევრები ვრჩებით. ხოლო სხვა ეროვნების ტრადიციებს პატივს ვცემთ.

-შვილებზე გვიამბეთ ორიოდე სიტყვით...

-მე საერთოდ არ მიყვარს შვილების ქება, მირჩევია სხვამ აქოს ისინი, ვიდრე მე, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ კარგი ადამიანები არიან. მათაც ჩვენთან ერთად ბევრი სიძნელის გადალახვა მოუწიათ. ისინი თავმდაბალი, კეთილი, შრომისმოყვარეები და მეგობრული ადამიანები არიან. მაკამ დაამთავრა უნივერსიტეტი ბუღალტრის განხრით და ერთ-ერთ საბუღალტრო კომპანიაში მუშაობს. ლევანი მომავალ წელს ამთავრებს უნივერსიტეტს ფინანსების განხრით. იგი წარმატებული სტუდენტია და ერთი თვის წინ მეორედ დააჯილდოვეს მაღალი აკადემიური მოსწრებისთვის.

-თქვენი აზრით, იმისთვის, რომ ადამიანმა წარმატებას მიაღწიოს და ამასთანავე ის დაფასდეს ისე, როგორც ამას იმსახურებს, აუცილებელია ქვეყნიდან წასვლა?!

-რასაკვირველია არა, ეს ყველაფერი ინდივიდუალურია. ზოგი თავის ქვეყანაში აღწევს წარმატებას, ზოგიც – ქვეყნის გარეთ.

- როდესაც აკეთებთ საქმეს, რა გაგონდებათ ყველაზე ხშირად?

- ვფიქრობ ბედისწერაზე და იცით რა სიტყვები ამომიტივტივდება ხოლმე გონებაში? „ვახ სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა, სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა....“ ხან საქართველოს ჰიმნს წავიმღერებ: ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა...

- ამბობენ, რომ ადამიანს რაც ასაკი ემატება და იხვეწება, მით მატულობს იმ წლების და ადგილების ხშირი ნოსტალგია, სადაც გაიზარდა და ბავშვობა გაატარა, თქვენ?

-კი, გეთანხმები, ასეა, ხშირად მახსენდება ის ადგილი, ჩემი სოფელი ქვემო ქედი, სადაც დავიბადე და გავიზარდე. ხშირად ვმოგზაურობ ჩემს ბავშვობაში და მახსენდება უბედნიერესი წლები, ჩემი ბავშვობის ყველაზე ტკბილი მეგობრები.

-მინდა თქვენს ოჯახს, მუღლეს, შვილებს კიდევ დიდი წარმატებები, წინსვლა და საქართველოს ეკონომიური გაძლიერება გისურვოთ, რათა დაბრუნდეთ.

-გვინდა დაბრუნება, ძალიან გვინდა, მაგრამ ეგ ძალიან რთული საკითხი და წლების გადასაწყვეტი ამბავია. ჯერ მდგომარეობა მკვეთრად უნდა გამოსწორდეს საქართველოში, ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს.... მადლობა თქვენს გაზეთს, მთელს თქვენს კოლექტივს, რომ გახსოვართ და არ გვივიწყებთ.

ლალი მეხრიშვილი

ყურადღება!

ქალაქ დედოფლისწყაროში მდებარე ბავშვთა გასართობი ცენტრი „ლაბირინთი“ გიწვევთ საახალწლო ნაძვის ხის ღონისძიებებზე 20 დეკემბრიდან 15 იანვრის ჩათვლით. გთავაზობთ საახალწლო ღონისძიების განახლებულ პროგრამას. ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ: დიჯეი; თოვლის პაპა; სანტაკლაუსი;

ელზა და ანა; ფიფქია; კლოუნი; მიკი-მაუსი; მგელი და წითელქუდა. საახალწლო ღონისძიებაში გარდა სანახაობრივი მხარისა, ბავშვები აქტიურად იქნებიან ჩართული პროგრამაში. ასევე მათ შეეძლებათ გაერთონ სასრიალოებით, ბატუტით,კარაოკე ცეკვებით და სიმღერებით. შემოთავაზებული იქნება ხელოვნური თოვლი და საპნის ბუშტების წვიმა, ასევე, ბავშვებს შეეძლებათ ჩაიცვან სხვადასხვა ფორმა. მათ ელოდებათ სიურპრიზებით სავსე ღონისძიებები. ბავშვების მაქსიმალური რაოდენობა 30, მინიმალური რააოდენობა 15. საახალწლო ღონისძიების ხანგრძლივობა 2 საათი. სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია ღონისძიების გახანგრძლივება. ბილეთის ღირებულება 1 ბავშვისთვის 12ლარი, ბილეთში შედის ნამცხვარი სიურპრიზით და ლიმონათით. საახალწლო საჩუქარი - 3 ლ. სრული პროგრამით და საჩუქრით 15 ლარი. 2 საათიანი ღონისძიება თოვლის პაპასთან, დიჯეისთან და 1 გმირთან ერთად – 10 ლარი. 1 საათიანი ღონისძიება თოვლის პაპასთან და დიჯეისთან ერთად – 6 ლარი. ბილეთების შეძენა საჭიროა მხოლოდ ბავშვებისათვის. მომსახურეობაში იქნება კაფე. დამატებითი ინფორმაციისათვის **დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 591 41 03 67 ან 599 90 25 82 ბავშვთა ცენტრი “ლაბირინთი” მდებარეობს ქალაქ დედოფლისწყაროში, ბარათაშვილის ქუჩა 8-ა-ში, (ჯარის წყალთან).**

ულოცავენ!

ნინო იაკობიშვილს და სპირიდონ ბიძინაშვილს!

ჩვენო ძვირფასო მშობლებო, 20 დეკემბერი თქვენი ქორწინების დღეა.

გილოცავთ ქორწინებიდან 30 წლისთავს!

გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ყოველივე კარგს ცხოვრებაში.

დაგვეფასებინოს თქვენი ამაგი.

თქვენი შვილები
ლალი და ეთერ ბიძინაშვილები.

იყიდება!

ორსართულიანი კაპიტალური სახლი. პირველი სართული გამართულია, მეორე სართული – გასამართი, ეზოთი, ბაღით, მარნით, სათონით; ფასი 11500 აშშ დოლარი.

☎ 591345550
იკითხეთ ლალი.

ამინდი

	ორშაბათი 19.12		სამშაბათი 20.12		ოთხშაბათი 21.12		ხუთშაბათი 22.12		პარასკევი 23.12		შაბათი 24.12		კვირა 25.12	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	-6 °	-7 °	-4 °	−5 °	-4 °	-5 °	-5 °	-6 °	-4 °	-6 °	-3 °	-4 °	-2 °	-4 °

დედოფლისწყარო

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნარა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.